UK | GE Reform assistance to Georgia
საქართველოში რეფორმების განხორციელებაში დახმარება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

აწარმოე საქართველოში

ბიზნეს კავშირები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშესაწყობად სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ბიზნეს კავშირების წახალისების ღონისძიებას უმასპინძლა

თბილისი, 27 ივნისი — საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“, ფრაისუოთერჰაუსკუპერსთან (PwC) და პოლიტიკისა და მართვის საკონსულტაციო ჯგუფთან (PMCG) თანამშრომლობითა და დიდი ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდის (GGF) ფინანსური მხარდაჭერით, **მცირე და საშუალო მეწარმეების მულტი-ნაციონალურ კომპანიებთან დაკავშირების** ღონისძიებას უმასპინძლა.

მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დირექტორის მოადგილემ **თორნიკე სულაბერიძემ**, კარგი მმართველობის ფონდის ეკონომიკური პროექტების მენეჯერმა **გივი ჭანუყვაძემ** და პროექტის გუნდის ხელმძღვანელმა **ჯულიან ლავსონ ჰილმა.**

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ დირექტორის მოადგილის, **თორნიკე სულაბერიძის** განცხადებით, *„პროექტის მიზანია, გაიზარდოს საქართველოში არსებული მულტი-ნაციონალური და ე.წ. ‘ფრენჩაიზინგის’ კომპანიების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე და მოხდეს ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესის მეწარმეების დაკავშირება. აღნიშნულის ფარგლებში, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები გრძელვადიან პერსპექტივაში შეძლებენ საკუთარი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და დასაქმებულთა რაოდენობის გაზრდას.“*

ღონისძიების ფორმატის თანახმად, მცირე და საშუალო საწარმოებსა და საქართველოში არსებულ მულტი-ნაციონალურ და ე.წ. 'ფრენჩაიზინგის' კომპანიებს შორის შედგა 10 წუთიანი შეხვედრები, რამაც შესაძლებლობა მისცა ადგილობრივ მეწარმეებს, საკუთარი მომსახურება და პროდუქცია საერთაშორისო მწარმოებლებისთვის შეეთავაზებინათ.

პროექტის **„ბიზნეს კავშირების წახალისება მცირე და საშუალო ბიზნესისთვის"** ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად შესწავლილ იქნა საერთაშორისო სასტუმროების, რესტორნების ქსელების და უცხოური ინვესტიციით შექმნილი სამრეწველო საწარმოების მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე, შეირჩა სასტუმროებისა და რესტორნების ე.წ. HoReCa-ს სექტორი, რომლის ფარგლებშიც მოღვაწე მულტი-ნაციონალურ ბრენდებთან დასაკავშირებლად და პოტენციალის შესასწავლად, კვლევის შედეგად იდენტიფიცირებულმა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებმა შეავსეს ბიზნესის შეფასების კითხვარი, რის მიხედვითაც მათთვის დაიგეგმა და ჩატარდა ჯგუფური და ინდივიდუალური ტრენინგ პროგრამები. ტრენინგები გაიმართა ისეთ მოდულებში როგორებიცაა: სტრატეგია და დაგეგმვა, ლიდერობა და მენეჯმენტი, მომხმარებელზე ორიენტირება, ხარისხი და ოპერაციები, გაყიდვები მულტი-ნაციონალურ კომპანიებთან, ფინანსები და ადამიანური რესურსების მართვა.

დაკავშირების ღონისძიების ფარგლებში, მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს ასევე საშუალება ჰქონდათ, განეთავსებინათ ნიმუშები მათთვის სპეციალურად

„ჩემი ორგანიზაციის თანამშრომლები და მე ვცდილობდით, მოგვეძებნა ადგილობრივი მომწოდებლები, თუმცა, გვიჭირდა მათი პოვნა. საინტერესო იყო ისეთ ადგილობრივ მეწარმეებთან შეხვედრა, რომელთა შესახებაც ინფორმაცია არ გვქონდა.“

„Hard Rock Café“-ს წარმომადგენელი

გამოყოფილ სივრცეში. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა საქართველოში არსებული 11 მულტი-ნაციონალური და ე.წ. „ფრენჩაიზინგის“ კომპანია, მათ შორის სასტუმროები „Holiday Inn” და “Pullman”, რესტორანი “Hard Rock Café” და სხვა.

მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ღონისძიება იყო კარგი შესაძლებლობა, წარედგინათ საკუთარი პროდუქტები მულტი-ნაციონალური და ე.წ. ‘ფრენჩაიზინგის’ კომპანიებისთვის. ღონისძიების ფარგლებში ჩატარებული შეხვედრების შედეგად კომპანიებმა შეძლეს დაეინტერესებინათ სხვადასხვა შემსყიდველი და ჩაენიშნათ მათთან დამატებითი შეხვედრები მომავალი თანამშრომლობის დაწყებისა თუ გაღრმავების მიზნით.